კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.8-მდე, რაც გულისხმობს 5 სართულის დამატებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01240652626-67 (01240664263-67, 0124089863-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N001070924, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 19 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 5 037 918 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას ხმათა უმრავლესობით მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

8. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-14 კილომეტრზე არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.617, ფართობი - 5 000 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032414369-03-22.05.2024)

საკითხი წარმოდგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა.

კომისიამ იმსჯელა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2024 წლის 1-ლი მაისის N01241223487-67 (N01241344706-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-14 კილომეტრზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.617) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.72.14.009.617 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.4), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. N01.72.14.009.617 საკადასტრო ერთეულზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არქიტექტურის სამსახურის

N6257026 (AR1932151) ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ის პარამეტრებით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) არის მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელ ზონა 6 (სზ-6)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართ 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები და დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი $k-1 = 0,5$ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი $k-2 = 2,5$ მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი $k-3 = 0,3$ მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - $600 / 700 * კვ.მ$ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - $15 / 20 * მ$ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - $25 / 30 * მ * მ$ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25 %-ს. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ($k-2$) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება $k-2=2,5$ -დან $k-2=3,4$ -მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 3 სართულის დამატებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01241223487-67 (N01241344706-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N002826424, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 26 აპრილის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 4 592 889 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის საწარმოოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას ხმათა უმრავლესობით მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

9. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, რამაზ შენგელიას ქუჩა N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.448, ფართობი - 1

444 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032414371-03-22.05.2024)

საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა.

კომისიამ იმსჯელა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2024 წლის 1-ლი მაისის N01241224107-67 (N01241362154-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, რამაზ შენგელიას ქუჩა N3-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.448) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.11.13.002.448 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=4.0), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. N01.11.13.002.448 საკადასტრო ერთეულზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის უმეტეს ნაწილზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1 (სსზ-1), ხოლო მცირე ნაწილზე - საცხოვრებელი ზონა-2 (სზ-2). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივი-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) არის საშუალო ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივი-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; დასაშვებია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%- ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 90%-ისა. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა დაკმაყოფილებისთვის არსებული საპროექტო ობიექტებისთვის და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესით განსაზღვრული ობიექტებისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე დასაშვებია 100% საცხოვრებელი ფუნქციის განთავსება და დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5 * / 0,7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 3,5 მიწის ნაკვეთის გამწვანების

მინიმალური კოეფიციენტი $კ-3 = 0,2 / 0,3 * მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 600 / 700 * კვ.მ$
მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - $15 / 20 * მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 25 / 30 * მ$
* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის. N01.11.13.002.448 საკადასტრო ერთეულზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 ოქტომბრის N6167833 ბრძანებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული კორექტირებული პროექტი (კ2=3.4). საპროექტო ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 16 სექტემბრის N801.012125915 ბრძანებით (ცვლილება განხორციელდა 2022 წლის 30 მარტის N801.01220891 ბრძანებით) გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%) განთავსების მიზნით. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.4-დან კ-2=4.0-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 2 სართულის დამატებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01241224107-67 (N01241362154-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N007836323, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1 560 286 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას ხმათა უმრავლესობით მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

10. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, რევაზ ურიდიას ქუჩა N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 01.12.12.034.005, ფართობი - 789 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032414372-03-22.05.2024)

საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა.

კომისიამ იმსჯელა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2024 წლის 11 აპრილის N01241024143-67 (N01241412426-67) განცხადებით, ქალაქ

თბილისში, რევაზ ურიდიას ქუჩა N5-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.12.12.034.005) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.12.12.034.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=2.9), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. N01.12.12.034.005 საკადასტრო ერთეულზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 20 თებერვლის №6892803 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ის პარამეტრებით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) არის მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელ ზონა 6 (სზ-6)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე, დასაშვებია ამ წესების დანართ 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები და დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 2,5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 = 0,3 მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 600 / 700 * კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 15 / 20 * მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 25 / 30 * მ * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25 %-ს. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=2.9-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 1 სართულის დამატებას, ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01241024143-67 (N01241412426-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N001469124, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 6 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1 038 330 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო

ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას ხმათა უმრავლესობით მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად

11. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032414348-03- 22.05.2024; 12-032412316-0302.05.2024; 12-032414142-03 20.05.2024; 12-032414380-03- 22.05.2024; 12-032320068-03 - 19.07.2023 „დ“ პოზიცია 12-032332829-03 24.11.2023 „ა“ პოზიცია; N12-032414214-03 21.05.2024; 12-032414377-03 -22.05.2024; 12- 032414457-03 – 23.05.2024)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-032414348-03- 22.05.2024; 12-032412316-0302.05.2024; 12-032414142-03 20.05.2024; 12-032414380-03- 22.05.2024; 12-032320068-03 - 19.07.2023 „დ“ პოზიცია 12-032332829-03 24.11.2023 „ა“ პოზიცია; N12-032414214-03 21.05.2024; 12-032414377-03 -22.05.2024; 12- 032414457-03 – 23.05.2024) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 31 წინადადება კერძოდ:

№12-032414348-03- 22.05.2024;

ა) ქალაქ თბილისში, ანტონ ჩეხოვის ქუჩა N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.116.007) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3- ით (სზ-3) ცვლილება. მოცემულ შემთხვევაში, ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება არსებული, ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად. ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში (ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონა), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 14 მაისის N60-01241353417 წერილის მიხედვით, საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N17; 02.05.2024 წ.), რომლის გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისში, ანტონ ჩეხოვის ქუჩა N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.116.007) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3)

ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 21 მაისის N0124142799 წერილით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივ შენობა-ნაგებობაზე და შესაბამისად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ანტონ ჩეხოვის ქუჩა N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.116.007) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, გურამ ქუთათელაძის ქუჩის I გასასვლელი N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.04.003.026) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა. N01.12.04.003.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20- 105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ფუნქციური ზონის დაბრუნება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 20 მაისის N01241414086 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გურამ ქუთათელაძის ქუჩის I გასასვლელი N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.04.003.026) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

№12-032412316-03 02.05.2024;

ა) ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი, N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.11.004.018) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. N01.10.11.004.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სატრანსპორტო მომსახურების ობიექტის მშენებლობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 14 მარტის N01240742131 წერილით, თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2024 წლის 14 მარტის N01240743565 წერილით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ითვალისწინებს საპროექტო ტერიტორიის ფაქტობრივ ფუნქციურ დანიშნულებას, რომელიც შესაბამისია მოთხოვნილი ფუნქციური ზონირების და არ არის წინააღმდეგი სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) გავრცელების. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ქონების მართვის სააგენტო 2024 წლის 26 აპრილის N61-01241171182 წერილით, არ არის წინააღმდეგი

დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.11.004.017) ნაწილზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი, N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.11.004.018) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა, ასევე, N01.10.11.004.017 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, N124-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.01.005.010) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. N01.13.01.005.010 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შენობა-ნაგებობის, შოუ-რუმის მშენებლობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 11 აპრილის N01241022816 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანება. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.01.005.227) ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, N124-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.01.005.010) ნაწილზე, ასევე, N01.13.01.005.227 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

№12-032414142-03 20.05.2024; №12-032414380-03- 22.05.2024;

ა) ქალაქ თბილისში, დიდმის მასივი, I კვარტალი, კორპუსი 14ა; ქალაქ თბილისში, გამზირი გრიგოლ რობაქიძე, N7ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.13.04.004.006; N01.13.04.004.034; N01.13.04.004.037; N01.13.04.004.039; N01.13.04.004.046) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა; ფუნქციური ზონის ცვლილების

მიზანს წარმოადგენს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლება თანამედროვე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 2 მაისის N01241233732 წერილის შესაბამისად, აღნიშნულ მონაკვეთზე ფუნქციური ზონის მოთხოვნილი ცვლილებით, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კონფიგურაცია და პარამეტრი არსებითად არ იცვლება და ამდენად, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება მიზანშეწონილია. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 30 აპრილის N01241213669 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანების მოხსნა.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 მაისის N24.817.925 განკარგულებით მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისში, დიდმის მასივი, I კვარტალი, კორპუსი 14ა; ქალაქ თბილისში, გამზირი გრიგოლ რობაქიძე, N7ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.13.04.004.006; N01.13.04.004.034; N01.13.04.004.037; N01.13.04.004.039; N01.13.04.004.046) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლება თანამედროვე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლით. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდები: N01.13.04.004.034; N01.13.04.004.046) ნაწილზე ხარვეზის სახით რჩება ინტერაქტიული რუკითა და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). ზემოაღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით საპროექტო ტერიტორიის მცირე ნაწილზე ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)-ის მოხსნა. ამასთან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.13.04.004.039 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და შესაბამისად, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არ არსებობს ფუნქციური ზონის მოხსნის/ცვლილების საჭიროება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცვლილება უნდა შევიდეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 მაისის N24.817.925 განკარგულებაში და სარეზოლუციო ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ა) ქალაქ თბილისში, დიდმის მასივი, I კვარტალი, კორპუსი 14ა; ქალაქ თბილისში, გამზირი გრიგოლ რობაქიძე, N7ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.13.04.004.006; N01.13.04.004.034; N01.13.04.004.037; N01.13.04.004.046) და მიმდებარე

დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)-ისა და ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდმის მასივი, I კვარტალი, კორპუსი 14ა; ქალაქ თბილისში, გამზირი გრიგოლ რობაქიძე, N7ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.13.04.004.006; N01.13.04.004.034; N01.13.04.004.037; N01.13.04.004.039; N01.13.04.004.046) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

ბ) ქალაქ თბილისში, მუხიანი 2-ის დასახლება, მახარობლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.13.568.064, N01.72.13.568.065, N01.72.13.568.014, N01.72.13.568.016, N01.72.13.568.013, N01.72.13.568.015) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 2 მაისის N18-01241234734 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანების მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილად მიაჩნია არეალზე, კერძოდ N72.13.09.109, N72.13.09.110, N01.72.13.568.010, N72.13.09.536, N01.72.13.568.066 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მუხიანი 2-ის დასახლება, მახარობლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე N01.72.13.568.064, N01.72.13.568.065, N01.72.13.568.014, N01.72.13.568.016, N01.72.13.568.013, N01.72.13.568.015), ასევე, N72.13.09.109, N72.13.09.110, N01.72.13.568.010, N72.13.09.536, N01.72.13.568.066 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა N50ა-ში, ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა N50ა-ს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა N48-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.07.007.035; N01.12.07.007.022; N01.12.07.007.002; N01.12.07.007.037; N01.12.07.007.036; N01.12.07.007.042) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1), სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა; ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლება თანამედროვე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლით. საპროექტო არეალის ნაწილზე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-

39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად საცხოვრებელი ზონა მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების ტერიტორიებს. საცხოვრებელი ზონა (სზ) შესაბამისი კვლევის საფუძველზე ზუსტდება ქვეზონებით: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1); საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2); საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3); საცხოვრებელი ზონა 4 (სზ-4); საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5); საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და არ საჭიროებს ფუნქციური ზონის ცვლილებას. ამასთან, საცხოვრებელი ზონა მოიცავს საპროექტო არეალის 3/4-ს და შესაძლებელია მისი სამშენებლოდ განვითარება სრულად საცხოვრებელი ზონის ფუნქციით. შესაბამისად, სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) და სამრეწველო ზონა 1 (ს-1) საცხოვრებელი ზონით ცვლილებას არ საჭიროებს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 2 მაისის N01241234573 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა; ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა N50აში, ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა N50ა-ს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა N48-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.07.007.035; N01.12.07.007.022; N01.12.07.007.037; N01.12.07.007.042) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, სვირის N31-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.14.023.002) მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს აღნიშნული დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების აღიარება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 23 აპრილის N01241144176 წერილით, საპროექტო ტერიტორიას ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია და ამდენად, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილება მიზანშეწონილია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სვირის N31-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.14.023.002) მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, დარკვეთის ქუჩა N4-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.14.002.001) მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს აღნიშნული დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების აღიარება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 12 აპრილის N01241034097 წერილით, ვინაიდან სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელებულია არსებულ შენობა-ნაგებობასა და კონსტრუქციულ ღობეზე, მას არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია და არ არის შესაძლებელი სამომავლოდ შესაბამისი ინფრასტრუქტურით მისი განვითარება, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილება მიზანშეწონილია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დარკვეთის ქუჩა N4-

ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.14.002.001) მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღება;

ვ) ქალაქ თბილისში, იუმაშევის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.26.005.018) ნაწილსა და ქალაქ თბილისში, იუმაშევის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.26.005.028, N01.19.26.005.026) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება; ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების საცავის განთავსება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 2 მაისის N01241234578 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, იუმაშევის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.26.005.018) ნაწილსა და ქალაქ თბილისში, იუმაშევის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.26.005.028, N01.19.26.005.026) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება მისაღება;

ზ) ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში; ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩის N292-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.13.47.609, N72.13.33.791) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილად მიაჩნია არეალზე, კერძოდ N72.13.33.323, N72.13.33.310, N72.13.33.502, N72.13.33.537, N72.13.33.308, N72.13.33.306, N72.13.33.305, N72.13.33.304, N72.13.33.426 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 14 მაისის N18-01241351756 წერილით სამსახური კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, რომ განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა (რზ). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში; ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩის N292-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.13.47.609, N72.13.33.791), ასევე, N72.13.33.323, N72.13.33.310, N72.13.33.502, N72.13.33.537, N72.13.33.308, N72.13.33.306, N72.13.33.305, N72.13.33.304, N72.13.33.426 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა მისაღება;

თ) ქალაქ თბილისში, მუხიანი 2-ის დასახლებაში, მახარობლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.13.570.011) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. ვინაიდან გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება

გავრცელებულია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, საერთო ქალაქგეგმარებით პირობებში მყოფ საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, უფლებამოსილების ფარგლებში, ფუნქციური ზონის ცვლილებას/მოხსნას განიხილავს არეალზე, ზემოაღნიშნულ ტერიტორიასთან ერთად (N01.72.13.570.015 საკადასტრო ერთეული და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორია). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 2 მაისის N18-01241234688 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ ქალაქ თბილისში, მუხიანი 2-ის დასახლებაში, მახარობლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.72.13.570.011; N01.72.13.570.015) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მუხიანი 2-ის დასახლებაში, მახარობლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.13.570.011), ასევე, N01.72.13.570.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ი) ქალაქ თბილისში, ხევისუბნის ქუჩის N18-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.08.016.048) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა. N01.12.08.016.048 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიის შემდგომი სამშენებლო განვითარება - დამხმარე ადმინისტრაციული/ საოფისე ფუნქციით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 2 მაისის N01241234679 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ხევისუბნის ქუჩის N18-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.08.016.048) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია;

კ) ქალაქ თბილისში, ნიაბის ქუჩის II შესახვევის N20-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.02.015.315) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. N01.17.02.015.315 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნის მიზანს წარმოადგენს შემდგომში მასზე ღობისა და ფანჩატურის მოწყობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 2 მაისის N18-01241234634 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანებული მოხსნა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის მიღმა დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინტერაქტიულ რუკაზე ხარვეზის სახით რჩება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება. ზემოაღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული

პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ხორციელდება გამწვანების მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნიაბის ქუჩის II შესახვევის N20-ში მდებარე მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.17.02.015.315) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ლ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩის N18-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.001.153) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. N01.20.01.001.153 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ფუნქციური ზონის დაბრუნება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2024 წლის 5 აპრილის N1240963583 წერილით, ფუნქციური ზონის მოთხოვნილ ცვლილებას, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმებას, მიზანშეწონილად მიიჩნევს ღობის მიღმა გავრცელებულ მონაკვეთზე. ამასთან, ვინაიდან მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ხარვეზის სახით კვეთს არსებულ შენობა-ნაგებობას და სცდება ფაქტობრივად არსებულ მოასფალტებულ გზას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება N01.20.01.001.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩის N18-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.001.153), ასევე, N01.20.01.001.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია;

მ) ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩის N1/16-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.038.023) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სს-1) ცვლილება და მცირე ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. N01.10.13.038.023 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების/ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნის მიზანს წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ფუნქციური ზონის დაბრუნება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 12 აპრილის N012410330 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, 2024 წლის 15 მაისის N61-01241361086 წერილით, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე განხორციელდეს სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის მიღმა დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (ფაქტობრივად არსებულ გზაზე - მოასფალტებული გზის ნაწილზე) წარმოიქმნება ხარვეზი, კერძოდ, ხარვეზის სახით რჩება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ზემოაღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სპეციალური ზონა 1-ისა (სპეცზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩის N1/16-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.038.023) სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სს-1) ცვლილება და მცირე ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია მხოლოდ საზოგადოებრივი ფუნქციით განვითარების პირობით, ასევე, საპროექტო ტერიტორიის მიღმა დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ისა (სპეცზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

№12-032320068-03 - 19.07.2023 „დ“ პოზიცია

